როგორც ცნობილია, გვიანი ბრინჯაოს პერიოდისა და მისი მომდევნო ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის აღნიშნული უტყარის ბრინჯაოს საბრძოლო სატევრებს. აღნიშნული ეპოქის სატევრები დიდადია აღმოჩენილი და რაც მთავარია, მრავალფეროვანია, ნარისსახეობითაა წარმოდგენილი. გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის სატევართა შორის ღრმა-ღელის სატევარი სრულყოფილი გამოირჩევა იმევე დროის სამთავრის სატევრებისაგან. პირით, ე. ი. სამუშაო ნაწილით, ისინი ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ იმნაშია, რომ იარაღ გახანია ბრინჯაოსვე ტარი: რაც მთავარია, ტარი შეკულია რელიეფური გეომეტრიული სახეებით. სპირალური და წნული რელიეფური ორნამენტები ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე უფლებში პერიოდულად გვხვდება. სპირალური სახეები ჯერ კიდევ ენეოლითის პერიოდში იყო გამოყენებული მეთუნეების მიერ თიხის ჭურჭლის შექმნაში, ხოლო ლითონის, სპილენძ-ბრინჯაოს და ოქრო-ვირცხლის შესამკობად იგი ადრე ბრინჯაოს პერიოდში საკმაოდ მრავალადა გამოყენებული, ხოლო შუაბრინჯაოს პერიოდში კიდევ უფრო მრავალდება. წნული რელიეფური მოტივებიც საკმაოდ გვხვდება ადრებრინჯაოს პერიოდის იარაღ-საჭურველთა შესამკობად. ღრმა-ღელის სატევარს როგორც ფორმით, ისე შემკულობის მოტივების მიხედვით, თავისი წინამორბედი ჩვენსავე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია. ჩვენს მხედველობაში გააქვს სანხერის ყორღანის ტარი აღმოჩენილი ადრებრინჯაოს პერიოდის ორი სატევარი, ერთი მათგანი ცარვის ვრანაზე აღმოჩენილი, ხოლო მეორე — სოფ. ქორთები, ყუდაქანძელულ ცულბთან და მარტვილ ნაქვე ტარმურჩენელ სატევრებთან ერთად.

ამ სატევრების პირი გამოქვილილია, ხოლო ტარი ჩამოსხმულია და შემდეგა ისინი ერთმანეთზე მორგებული და მიმაგრებული. ორივე სატევრის ტარი რელიეფური სახეობითაა შემკული. ცარვის ვორის სატევრის ტარი ოთხეუთხანი და ხოლო ვახვრეტლი აქვს, ხოლო პასიეთის (ქორეთის) ყორღანთან წარმომდგარი სატევრის ტარის ზოლო ვახვრეტლია და მთელი ტარის ზედაპირი წნული და სპირალური სახეობითაა შემკული. დამახასიათებელია, რომ აქ ერთი მეორის გვერდით ერთდროულად გვხვდება მარტივი ტან-ფურჩენილი სატევრები და მშვენიერად ორნამენტირებული ტარიანა,

საკმაოდ მაღალი ხელოვნებით ნაკეთები სატევრები, მარტვილ როგორც ფორმით, ისე ორნამენტის მოტივების მიხედვით, თბილისის სატევრის ტრადიციას ღრმად იტრება ჩვენი უძველესი კულტურის წიაღში, მეტალურგიის განვითარების ადრეული საფეხურებიდანვე.

ამ იარაღთა ვარჯიშების ფარგლებში, დღესათვის არსებული მასალების მიხედვით, შორის არ მიღის, ზუსტად ასეთი სატევრების არეალი შემოფარგლულია ერთის მხრივ შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილით, როცა ქართლის სიღრმეში, მის ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ასეთი სატევრები ჯერ კიდევ არა ჩანს. ასეთი სატევრები აღმოჩენილია შიდა კახეთსა და თანხედში, ხოლო კახეთის უფრო სიღრმეშიც ამ ტიპის სატევრები არ არის აღმოჩენილი. ეს ოლქალური რაიონი შემდეგ პერიოდშიც, ძვ. წ. I ათასწლეულის მანძილზე, აშკარად გამოყოფა.

ღრმა-ღელის სამარხებში აღმოჩენილი სატყურცინი იარაღი, ბრინჯაოს ორი ხელშუბის პირი, მასხარასხნელია. ერთ-ერთ მათგანს გრემელს მასხა აქვს, ხოლო პირი ფთოლისებრი, თანა თანაბარი ფორმით. მეორე ხელშუბს პირი ძალიან მოკლე აქვს, ფთოლისებრი მსყვანალობისაა, ფრთები არა თანაბარი, ორივე ისინი ნაკვეთა, შემკულობის რაიმე მოტივი არ შეიმჩნევა.

ბრინჯაოს ნივთთა შორის ყურადღებას იმსახურებს X მ სამარხში აღმოჩენილი ნიშის ფორმის იარაღი, რომელიც ნაკვეთი ჩანს და არა ჩამოსხმულია. თბილისის ტერიტორიაზე ვერჯერობით არ არის აღმოჩენილი შუაბრინჯაოს პერიოდის თიხის ჭურჭელი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ერთგვარი თანამდებრობა და განვითარების საერთო ხაზი მოვინახა ადრეული სახეებიდან გვიანდლისაგან, ადრეული ფორმებიდან და შემკულობიდან გვიანდლისაგან, საერთოდ ეს ღრმა-ღელის თიხის ჭურჭელი მაღალი კვანძებით და ხელოვნებითაა ნაკეთები და მის მთავალ სახესხაობასთან გააქვს საქმე-ის სახესხაობა თუ განსხვავება არა მარტო ჭურჭლის ზომაში ჩანს, არამედ მათ ფორმებში, და ნაირსახეობაშიც, ამდენად განსხვავებულ დანიშნულებებშიც.

ღრმა-ღელის ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ტიპისაა და დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად შევიძლება დავყო.

1. ღლი ზომის ჭურჭელი — ქოცოები და დერგები. ზედაპირი ყველა მათ შარბრალა ან ლოვე ფერისა აქვთ. ისინი საჭმლის მოსახარშიც არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მათი სიღლის გამო. შესაძლოა მათ იყენებდნენ მარცვლეულის ან სხვა საოჯახო საკვების შესახანად. ამავე ჯგუფის ქვისაღებ შეიძლება ჩაეთვალოს თიხის ქილბი, რომელთა ორნამენტის მოტივებიც კვლევი გამოჩენილი სახეობაა. ჩვეულებრივ ნაზებს და რელიეფურ სარტყლებს ამ შემთხვევაში ემატება სოლორი ორნამენტული შვიჯანთი სასეთხელების წყებები, რომლებიც საკმაოდ მოხილულად და ლამაზადაა განლაგებული ჭურჭლის მხრებზე; დაჯერბილი ზომიერიფული ყური, რომელიც საკმაოდ დამახასიათებელია ამ პერიოდის ღრმა-ღელის ჭურჭლისათვის, ქილისათვისაც გაუკეთებიათ.

მეორე ჯგუფში შეიძლება ვაჯეროთანათ ქოთნები, ქაბქოთნები და კოხობები, ყოველდღიურად სახლში სასამარი ჭურჭელი. რომლებიც ალბათ, გამოიყენებოდა საჭმლის მოსახარში და გასაკეთებლად, წყლის ასაღებლად და ა. შ. ამ ჯგუფის ჭურჭელათათვის ძირითადად დამახასიათებელია მოყრილი პირი, მრგვალი კონხა ტანი, განიერი პირი, ერთ შემოხრავალი მომალო ცილინარული ყორი და სქელი მომხრავებული, ოღანვე გამოძობილი პირი.

შემდეგ ჯგუფს გაყოფენით ჩადის ფორმის ჭურჭლებს (რომელთაც ჩვენ დორა გეუწოდებთ), ჩადის, დღას და ხელოლო წყლისთიხის და საერთოდ სითხის შენახა-მომხმარებისათვის. დორა სამია, მათ შორის, ერთი ზომიერიფული ყურებით, ყურები დაჯერბილია და სტილიზებულია ვად-

ანტეკური პერიოდის თიხის ხელადა.



მოვეცემს ხარის რქებს. ორი კი უყურია. ამ ჭურჭელთათვის დამახასიათებელია შესანიშნავი პროპორციულობა ცალკეულ ნაწილებს შორის, მტკიცედ გამოკეცილი და ჩამოყალიბებული ნაწილები — მუსკლის გამოპერილობა, კობხა და ლახაოანი ტანი, ასევე ვიწრო და ცილინდრული პირ-ყელი. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს შემეცლოის მრავალფეროვნება, კარგად შესრულებული სამკაულები, რომლებმაც უნდაცა „მორთული“ ზოვიერი თი ამ ჭურჭელთაგანი. ახვერად სამკაული არა მარტო ჭურჭლის მხარზეა, არამედ მის მთელ გახიერ ნაწილსაც განლაგებული.

ერთ-ერთი მათგანის მხრები შემეცლო ცხოველის გამოსახულებით, მაგარა ჭურჭლის ხალხულობის გამო ძნელად თქმა, რა ცხოველთან გვაქვს საქმე (შემორჩენილია მხოლოდ გავა და კუდი).

ჩაფიქვია. ერთი მათგანი, რომლის მხოლოდ ზემო ნაწილია შემორჩენილი, საკმაოდ კობხა ნაკეთები უნდა ყოფილიყო, დაბალი ცილინდრული ყელიანია, დარტყმითი ყურით. აღნიშნული ჭურჭლის მხრები და განიერი ნაწილი სხვადასხვა სამკაულებითაა მოკაზმული, მხრებზე განლაგებულია გრავიურად შესრულებული სამი ერთნაირი ცხოველის სტილიზებული ფიგურა, რომლებიც უკან დაბნობილი გრძელი რქებით, აწეული კუდილი და ტანის მოყვანილობით თხებს უნდა გამოხატავდნენ. შეიშინევა ცხოველის ტანის ცალკეულ ნაწილებს შორის არა პროპორციულობა, მოკლე წელი გაწვირდებულია. ფეხები კი ძალზე გრძელი აქვს. მთელი ტანი დატვირთულია ოვალური ქვევებით.

ხელდა ორია, დაახლოებით ერთნაირი ფორმისა (ორივე ყური მოტეხილი აქვს) ღამაზებია, მაღალი ცილინდრული ყელიანითა და ნორმალურად გამოპერილი მუსკლით. ყელი თითქმის გოფორმებულია. ხოლო ჭურჭელთან მხრები ტალღისებრი კლასილი და კონცენტრული ხაზებითაა შემკული.

ცალკე შეიძლება გამოეყოს სასმისები და ფილა. სასმისი ორია, ორივე დიდი და ყურიანი. ერთ-ერთი სასმისი შეიძლება გამოირტყვოს და მეტად სინტრექსოთა თვისი მოყვანილობით, ზოიმორფული ვერტეალურად აღიერილი მაღალი ყურით. სასმისი მაღალი, განიერი და ცილინდრული ყელი აქვს. მუსკლი ისე მკვეთრად და ერთნაშადა გამოპერილი, რომ განიერი ნაწილი წიბოსებრია და საერთოდ ტანი ყელთან შედარებით დაბალია. ძირისაკენ ჭურჭელი მკვეთრად ვიწროვდება და ქუსლისმავარი ძირით მთავრდება. ყურის ზემო ნაწილზე ორი ბიბილია აღმართული. საერთოდ ყური ცხოველის სტილიზებულად მოცემება გვესახება. ჭურჭლის ყელი გოფორმებულია. ყელსა და განიერ ნაწილს შორის მოქცეული ტანის ზედაპირი შეესბოვება პარკეტული სახეებით, თავშექცეული სამკუთხედებით, რომლებსაც ქმნიან ღრმა დაბრეცად გავლებული ღარები.

ფილა შუაბრიალა, კარგად დამუშავებული ტანი ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული აქვს. მას ზონარებაურული ბატარა ყური აქვს და განიერ ნაწილს ირვვლივ ვიწრო ღარი და კლასილი ზოლი უვლის.

შემდეგ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ღანგრები და ჯაებები. გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის ასეთი ჭურჭლისათვის საზოგადოდ (გამონაკლისს გარდა) უცნობა სამკაული, მით უმეტეს ბაჟის შემკობა. ღრმა უფლისა ღანგრები ამ მხრივ მეტად სინტრექსოა. ერთ-ერთი ღრმა პირვანიერი ღანგარი, შუაბრიალა ზედაპირით, მშვენივრადაა გაფორმებული. მისი ბრტყელი პორიზონტალური პირი ტეხილზაზოვანი სავარცხლის კბილისებრი ორნამენტითაა დატვირთული.

მეორე, ფრიალო ლეგაფურის ღანგარს განიერი ბრტყელი პირი ერთმანეთის გადაწყვეტილი ხაზებით აქვს შემკული. რაც შეეხება ჯაებებს, ისინი სადაა, მათ მხოლოდ განიერ ნაწილზე ერთგვარი ხაზების მწკრივი ავსობს.

ბოლის, ღრმა-ღელის მასალათა შორის გამოირჩევა

ერთი ბადაი ფიგურული (ზოიმორფული) ყურებით და ღამაზი ტანით. პირის ირვვლივ სინტრექსოლად განლაგებული ოთხი ერთნაირი, მრგვალგანივკვეთიანი, ბატარა, ზონარებაურული ყური, რომელიც მთავრდება ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით. რა ცხოველს უნდა გამოხატავდეს ყური, რომელიც ოსტატს მიუძღრწავს ჭურჭელზე, ძნელი სათქმელია. ერთი მხრივ მისი გრძელი სახისა და ფართოდ გაართლი პირის მიხედვით, შეიძლება ვარაუდავდნოთ, რომ იგი ცხენია, რომლის მომინაურება და გამოყენება ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო. ჭურჭელს ხმარების არავითარი კვალი არ ეჩვენება; იგი ბრტყალური დანიშნულებისა უნდა იყოს.


ამრიგად, ჩვენ მეტნაკლებად მიმოვიხილეთ თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის ზოვიერთი არქეოლოგიური მასალა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე თბილისში საკმაოდ მრავალფეროვანი და ნაირსახეობის თიხის ჭურჭელი ყოფილა. აქ ჭურჭლის შემკობის არა მარტო ახალი ხეხები გვხვდება, არამედ ჩნდება თვით ჭურჭელთა ახალი სახეები, რაც, ლამაზ, მუხრჩენიანსა და ყოფის ამ ეტაპის თავისებურებებით იყო ნაკარნახევი.

როგორც მრავალრიცხოვანი მასალა მოწმობს, ამ საფეხურზე უფრო იხვეწება ადამიანთა მხატვრული გემოვნა, ამ დროს ჭურჭელთა გასაფორმებლად გამოყენებულია როგორც პლასტიკური მოტივები, ისე გრავიურული მრავალფეროვანი სახეები. პლასტიკური მოტივები უმათრესად ღრმა-ღელის ჭურჭლის ყურით ცხოველური სახეების გამოცემასი ეკონდება. გრავიურული მოტივები მრავალფეროვანია. ზოვიერ ჭურჭელზე მწყობრად, ღამაზად და თანმიმდევრულადაა ერთი მეორის გვერდით განლაგებული კონცენტრული წრეები და სოლური სახეები, რელიეფური გრეხილი ორნამენტები და ვაყარცხლის კბილისებრი ღამაზად დატეული სახეები, ღრმა ღარები და რელიეფური სარტყლები. ხანდახან ერთიდაიგივე ჭურჭლის გათფორმებისათვის შერწყმულია გრავიურული და პლასტიკური სახეები, მრავალადა ტეხილზაზოზირივი ბადისებრი და ტალღისებრი მოტივები და ყველა ეს სამკაული რიტმულად, სათანადო გემოვნებითაა განლაგებული ჭურჭლის ტანის ზემო ნაწილზე, ხან კი ჭურჭლის გამოპერილ ნაწილზედაც ბატარაილური კალტურის აღნიშნული ძეგლი თბილისის ტერიტორიაზე მაღალი სულიერი კულტურისა და ტექნიკურად დაწინაურებულ მოსახლეობათა არსებობის შესახებ მეტყველებს.

* * *

კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც საკუთრივ გვიანბრინჯაოს პერიოდს, მის უთანასტრე საფეხურს მოიცავენ. ისევე, როგორც გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურზე, ამ ეტაპზედაც დასახლებული ყოფილა მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირის ტერიტორია. წინა პერიოდთან შედარებით აშკარად შეიშინევა მეტალურგიის დაწინაურება. თუ

ანტიკური პერიოდის თიხის ჭურჭელი.



გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის ბრინჯაოს იარაღები.



ადრეულ საფეხურზე, იმავე ღრმა-ღღის სამარხებში, იმ-
გიათი მოვლენა იყო ლიონის იარაღ-საჭურველთა აღმო-
ჩენის ფაქტი, ამჯერად, ბრინჯაოს ნივთები, იარაღები და
სამკაულეები საქმად მომარაგდა. ამ პერიოდის ძველთა
შორის შეტად დიდი მნიშვნელობისაა ნავთილენი აღმო-
ჩენილი გვიანი ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური მასა-
ლები. რომლებიც ჩვენს მიერ 1950 წელს იყო მოპოვებულ-
ნი. ნავთილენის არქეოლოგიური ძეგლები უფრო ახალ-
გზარდაა, ვიდრე ღრმა-ღღის ყორღანული ტიპის სამარ-
ხებში აღმოჩენილი მასალები. იგი ჩვენს მიერ დათარიღე-
ბულია ძვ. წ. XIII—XI საუკუნეებით. ნავთილენი გათხ-
რულ მონიშნაპარხის ინვენტარიდან განსაუთრებით უწ-
რადღებს იმსახურებს №1 სამარხის მდიდარი ინვენტარ-
ი, რომელიც შერეული კომპლექსისა ჩანს. სამარხის ინ-
ვენტარი შეიცავს ორ სატყეარს. ერთი მათგანი ფოთლი-
სებრი პირიანია, რომელსაც ოთხჯერ განიკვეთიანი წნე-
ლი, რელიეფური სახეებით შემკული ტარი აქვს. იგი
მსგავსია ღრმა-ღღელში აღმოჩენილი სატყეარისა, რომლის
შესახებაც წინა თავში ვეკონად საუბარია; განსხვავება
მხოლოდ იმაშია, რომ აქვერად უფრო სრულყოფილი საბ-
რძოლო იარაღთან გვაქვს საქმე, იგი უფრო დიდაა და
წონითაც მეტი, და, რაც მთავარია, მისი საბრძოლო უნა-
რანობა დაკლებულია, რადგან მასში კალის დიდი მი-
არანობა (10%), შედარებით ღრმა-ღღის სატყეართან.
აქვერად სატყეარს ტარის ზემო ნაწილაც უფრო გაგანი-
რებული აქვს. ვიდრე ღრმა-ღღის სატყეარს ჰქონდა,
ტარზე ორნამენტულად მოტივმაც იკლო, მხოლოდ წნული
რელიეფური მოტივითაა შემკული და აღარ ჩანს სამარ-
ხური მოტივები, რომელსაც რელიეფურ წნულთან ერთად
ღრმა-ღღის სატყეარს გაანდა. მეორე — კახური ტიპის
შედგენილტარიანი სატყეარია.

კომპლექსის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ამიერკავ-
კასიური ტიპის ბრინჯაოს ცული, დიდი ზომისა. ცულის
ყელის ერთ მხარეზე ყოილის სწოვია შერჩენილი. სათა-
ნად ანაოზით გაიკვება, რომ ქსოვილი სელისა უნდა
ყოფილიყო. ცულს შემკულობის რამე მოტივი არ გაჩანა-
მავარა არ შეიძლება ითქვას, რომ მისი საერთო ფორმა
და ცალკეული ნაწილები არ არის დაშუშავებული მხატვ-
რულად. ჩვენ ხალხ ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ამ შემ-
თხვევამ სრულყოფილია იარაღის საერთო ფორმა და
ყველაფერი ექვემდებარება საგნის ფუნქციურ დანიშნუ-
ლებას. აღნიშნული ცული, როგორც საბრძოლო იარაღი,
ისტატს დამატებითი სამკაულეთი აღარ დაუტყვიათებს. ეს
ითქმის არა მარტო ნავთილენის აღნიშნულ ცულზე. შიდა
ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ასეთ ცულთა დიდი
უმრავლესობა მოკლებულია სპეციალურ სამკაულს. თუ არ
მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ცულის ყუაზე დატა-
ნილი მართა თევზიფურ სახეებს, ანდა მოვუიანო პერი-
ოდში სატარის გავთა ნაწილზე გამოყვანილი რელიეფურ
ზომებს.

№1 სამარხში აღმოჩენილი შუბის პირი არაქული
იერისაა. მასარკასნილია, ფერცლოვანი ბრინჯაოს გამო-
კვერის (ჭედის) შედგებადა მიღებული. ბრინჯაოს კუბი
(ჩანკალი) ოთწნახნაგაა, ნამგლისებრი მოყვანილობისა.
რაც შეეხება თავზევია საკნის, მისი თავი გამოტყელებუ-
ლია და მოწვეული ისე, რომ უწყნარა მკნის. ღერის წანა-
კუვიანი ნაწილი შემკულია წიწყოვიანი წ. წ. თევზიფურ
სახეებით.

№1 სამარხის ინვენტართა შორის საყურადღებოა აჯ-
რეთვე სპილენძის ქვაბი. იგი მთლიანი თხელფერიფიტოვანი
საინტინისაგან უნდა იყოს გამოქედილი, მრგვალშეკულია-
ნია.

ნავთილენის სხვა სამარხებში აღმოჩენილ ბრინჯაოს
ნივთებს შორის ყურადღების იმსახურებს მთლიანპირიანი
დიდი შუბის პირი ბრინჯაოს. ამ ტერიტორიაზე შემთხ-
ვევით აღმოჩენილი სატყეარი ტარის გათხრებით უფო-
ლად საინტერესოა. ტარს ვერტიკალურად ზურთილების
ოთხი მწკრივი ამკვის. ხოლო ტარის შუა ნაწილზე პირი-

ზონტულად შემოვლებული კონცენტრული ხაზების წყე-
ბაა. დამალი, წყევეილი კონხის ფრმის ქედი გვერ-
დებზე წვერალაა მიტყეული სამკაულეებითაა დაფარ-
რული. საერთოდ სატყეარი შემვიერი ნახელკია.

საინტერესოა თავისი ფორმით №8 № სამარხში აღმოჩე-
ნილი საკინძი ბრინჯაოს, რომელიც ბოლოვდება ცხვრის
თავის სტილიზებულად გამოძევეით. ფიგურული საკინძე-
ბუ ამ პერიოდის ხშირი მოვლენაა, იგი მრავლად გვხვდება,
როგორც ჩვენს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში, ისე
მოსაზრებე რაიონის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. გან-
საკუთრებით მრავალადა ცხოველური სახეებით შემკულ
საკინძები ბრლისა და ყობანის არქეოლოგიურ ძეგლებს
შორის. ცხვრის სტიმატური გაოსახულებით. დაბოლე-
ბული საკინძი აღმოჩენილია აგრეთვე თრიალეთში (ბაი-
ბურთი) და სხვაგან, ასე რომ, თუ საბრძოლო და სამეურ-
ნლო იარაღები ამ პერიოდში შედარებით მოკლებულია და-
ნამავლს, პლასტიკურ გაფორმებებს, სამაგიეროდ ძალზე
მრავლად გვხვდება პლასტიკური მოტივები სამკაუ-
ლებში.

ამაი გარდა, ნავთილენის არქ. მასალათა შორის აღმო-
ჩენილია ბრინჯაოს თხელფერიფიტოვანი სამკაულს ფორმის
ისრის წვერები, მახათი, სამაჯურები და სხვ.

ნავთილენის თიხის ჭურჭელი კიდვე უფრო დახვეწი-
ლია თავისი ფორმებით, თითქმის აღარ ჩანს დიდი ზომის
ისეთი ჭურჭლები, რომელთაც არ ჰქონდეს მკვეთარი გა-
მოყოფილი ცალკეული ნაწილები. იმატა ჭურჭელთა
ასორტიმენტმა, რომელთა შორის ჭრბობის პატარა ზომის
ჭურჭელია. სავოლენი აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი რამ-
დენიმე ჯგუფად შეიძლება გაიყოს: არის გაიერი მუცილი-
ანი ტონებით და ქვაბქონებით, კვერცხისებრი მოყვანილო-
ნის ტიხიანი ფერგები და ქილები, ძალად და ცილინდრულ-
ყოლიანი დოქები და ხელოდები, სხვადასხვა სიდიდისა და
მოყვანილობის ლანჯრები და ჯაშები. სხვადასხვა ფორმისა
და სიდიდის სასისიები და ბოლოს ანტროპომორფული და
ზომიორფული ყურებიანი და ფეხებიანი ჭურჭელი, რომ-
ელსაც შეიძლება რიტუალური დანიშნულება ჰქო-
ნილია.

სპეციალურად გვინდა შეგერდეთ ზომიორფულ ყურე-
ბიან და ანტროპომორფულ ფეხებიან ჭურჭლებზე, რომლის
მხოლოდ ფერგებები გვაქვს შემორჩენილი. ჭურჭელი
მონაცრისფერი, კარგად დამუშავებული ყოფილია და მას
ხმავეის არავითარი კვალ არ ეჩნება. ჭურჭლის ფეხები
(3 ცალი) ადამიანის შემოსილი ფეხის შემკირებულია გა-
მოსახულებება. თევზებ დაკვირვების ისეთი შთაბეჭდი-
ლება იქმნება, ფიქვთ ისინი მაღალყოლიანი ფეხსაცმელ-
თაა შემოსილი. აშკარადაა გამოყოფილი ფეხსაცმლის ღან-
ი. რომელიც პირიან დაკვირვებული ყოფილია არა უშუა-
ლოდ ფეხის გულის სისწორებზე, არამედ მის ზემოთ.
ქვინტიდან წვიამდ ამყოლი და განივად გავლებული
ზომითი ჭურჭლის მკეთებელს, როგორც ჩანს. პირგას-
ნილი ფეხსაცმლის სახის შექმნა სურდა.

ამვე ჭურჭლის ყურები მოშავო-მონაცრისფერია და
ცხვრის გამოხატულებას წარმოადგენს. ცხვრის ფიგურა
სქემატურია, მაგრამ ხელისათა პრიმიტიული ხერხით
ცხვრის დამაჯერებელ სახეს იძლევა.

როგორც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცე-
მები მოწმობენ, ცხვრის გამოსახულებების მრავლად არ-
სებობა ჩვენს ტერიტორიაზე ცხვრის კულტურ უნდა მიუ-
თითვდეს, რადგან ცხვარი შუა ბრინჯაოს პერიოდისა
მოყოლებული, თუ აღვიდან არა, ხალხთა სამეურნეო
ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა. ამავდ დროს ჩვენ
ვეფიქრობ, რომ თუკი მხოლოდ საკულტო დანიშნულებით
აგხნილით შესანიშნავ გამოსახულებებს, ანდა თვით ფი-
გურულ ჭურჭლებს, რომლებსაც ჩვენი უძველესი წინაპრ-
ები აკეთებდნენ, ეს მისთვის ნაფერად შინაარსის გამოკლე-
იქნებოდა. იმ პერიოდში მცხოვრები ადამიანები ქვინდენ
ჩა მადლი გემოინების საგნებს, იარაღისა და სამკაულის
შედგენებს, შესანიშნავ თიხის ჭურჭლებს სხვადასხვა გა-

მოსახლეობებით, ამით ამკვანებდნენ თავიანთ ესთეტიკურ გემოვნებას.

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის დანარჩენ ძეგლთაგან ყურადღებას იმსახურებს მასალადღევი აღმოჩენილი შუბის პირი და საბეკარი. ბრინჯაოს საბეკარი ჩვეულებრივი კახური ტიპისაა, როგორც პირის, ისე ტარის მოყვანილობით და შეკვეთის მხრივაც, როგორც შედარებით გრძელი და საბრძოლოდ უზრუნველყოფილია. შუბის პირი კი თავისი სიღამაშით, ცალკეული ნაწილების პროპორციებით, პირის შესანიშნავი მოყვანილობით გამოირჩევა, საერთოდ იმდროინდელი ამ ტიპის საბეკარაი იარაღისაგან. მას გრძელი მასრა, ფოთლიანი პირი და მომრგვალო ფრთები აქვს. წვერი კი წაწვეტებულია. მის შესანიშნავ მოყვანილობას ლაზათს მატებს პირის მომრგვალებულ და საკმაოდ მაღალ ქედზე კონხად გავლებული სამი წიბური. ამგვარი შუბლის პირის ახალივები ძეგლთა ჩვენს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის.

უნდა შევინახოთ, რომ აღნიშნული იარაღის მშვენიერად ჩამოსახვა-გამოჭდა მოწმობს ბრინჯაოს პერიოდის აქაური ხელოსანების მაღალ ტექნიკურ გამოდგომებასა და დახელოვნებას. ეს ხელოსანები არა მარტო იმით ყოფილან დახელოვნებულნი, რომ შეექმნათ სრულყოფილი, მავარი და მასის საბრძოლო იარაღი, არამედ ცდილობდნენ პროპორციული, კონხა და მიწილვადი გამოსულიყის ის, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლთაგან ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ნაწილი, რადგან ამ პერიოდის მასლები თბილისის მრავალი მუნიდანაა შეგროვილი (ღრმა-ღელდან, დიღუბის რამდენიმე ადგილდან, მასალადღევიდან, ავლაბრიდან, სანაპირი ქუჩიდან, საბურთალოს რამდენიმე ბუნეტიდან და სხვ.). ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა ბრინჯაოს ნივთების სახით, ბრინჯაოს ნივთთაგან ერთი ნაწილი საბრძოლო იარაღება; არის სახეობა ნივთები და სამკაულებიც. ზემოთ ჩამოთვლილ არქეოლოგიურ მასალაში შორის ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოს ორიგინალური მახვილი, აღმოჩენილი 1936 წელს, სანაპირი ქუჩის მშენებლობის დროს, მტკვრის ნაპირს. მახვილი სანტატრუსია იმით, რომ შემკულია როგორც რელიეფური სახეებით, ისე ჩარმდებელი (ამოკარწული) ორნამენტით, რელიეფური სახეებით შემკულია იარაღის სახელები, ხოლო სამუშაო პირი და დედა გრავირებულია ცხოველის ირმის სიარულირ და ღვემისმავარი სახეებით.

როგორც ცნობილია, გვიანბრინჯაოს პერიოდის მიწურულსა და რკინის ადრეულ ხანაში საკმაოდ მრავლადა ცნობილი ირმის გამოსახულებები. იგი გვხვდება როგორც ცალკეული ქანდაკებების, ისე სხვადასხვა ნივთის სამკაულის სახით. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ მას ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, შესანიშნავი ქართული ქამრის მალთების შესამკობად. თავდაპირველად ის ნახევრად ფანტასტიკურია, ხოლო შემდეგ უფრო რეალისტურ სახეს იღებს. ირმის გრაფიული გამოსახულებით შემკულია ბოლოკვეთილი მახვილების ზოგიერთი ეგზემპლარი და ზოგჯერ კახური ტიპის საბეკრებიც. ასე რომ, შემკულობის ის მოტივები, რაც თბილისის სანაპირზე აღმოჩენილი მახვილის შესამკობადა გამოყენებული, მეტალორგიის განვითარების სიღრმინდანვე მომდინარეობს, შემდგომ თანდათან იხვეწება, უზუსტობდება და მრავლდება. მაგარმა, ნაცვლად უფრო ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ნატურალისტური სტილისა, როგორც ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს პროფ. შ. ამირანაშვილი, ამ პერიოდში ადვილი აქვს სტილიზაცია. იმდენად, რომ ხანდახან ცხოველთა გამოსახულებები ბუნებრივ სახეს ჰკარგავენ, ფანტასტიკურ იერს იძენენ.

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის მასლები შედარებით მრავლადა წარმოდგენილი საბურთალოდან. 1940 წელს I ახალშენის ქუჩაზე მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი იქნა სამარხები, სამარხებ-

ლი ინვენტარი უმთავრესად თიხის მურქულიაა წარმოდგენილი. იგი ჩვენს მიერ დათარიღებულია ძვ. წ. XI საუკუნით. ეს მცირე ზომის, სხვადასხვა ფორმისა და დამაშუქების მურქულია გამოირჩევა ძერწვის სიფაქიზით. მასალათა შორის არის ქითნები და ქანკეთნებიც. ამ ტიპის მურქულს მურქულობის მოტივები უმთავრესად მხარზე გააჩნია, ორნამენტები გეომეტრიული და შედარებით მარტივი: კონცენტრული წრეებისა და პარკეტული ორნამენტის, მარკეტულია ქვეებისა და დამრეცი ზოლების სახით.

ძვ. წ. VIII—VI საუკუნეთა მასლები საკმაოდ რაოდენობითაა აღმოჩენილი საბურთალოზე. 1949 წ. ვიბურის ქუჩაზე სახლის მშენებლობის დროს შემოხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხები. სამარხებში ნაპოვნია თიხის მურქული და ბრინჯაოს სამკაულები.

პირველ სამარხში აღმოჩენილ თიხის მურქულთაგან ყურადღებას იმსახურებს ლევაფერის ჩაფხვა, თიხისა. მურქული ფაქიზად ნაკეთებია და მშვენიერადაა გამოკვეთილი ცალკეული ნაწილები.

თხელკელებად და ფაქიზად ნაკეთები აგრეთვე № 1 სამარხში აღმოჩენილი ლევაფერის თიხის მრეცა, ვიწრო გადმოშლილი პირით და დაბალი ყელით, მრავალი სფერული ტანითა და მკვეთრად გამოყვანილი ძირით.

ამავე სამარხშია ნაპოვნი ლევაფერის სამსისი, ცილიანდრული, ძირისკენ ოდნავ შევიწროებული.

თიხის მურქულის გარდა, სამარხებში აღმოჩენილია ბრინჯაოს სამაჯურები. სამაჯურების ერთი ნაწილი სადაა, უორნამენტო. რამდენიმე ცალი კი შემკულია გეომეტრიული და პლასტიკური სახეებით.


ბრინჯაოს სამაჯურების გეომეტრიული სახეებით შემკობის ტრადიცია, მისი ნაზოვანი სახეებით შემკობა, დაწახანება ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის მასალებისათვის საკმაოდ დამახასიათებელია. რაც მთავარია, ამ პერიოდში ფართოდ იყიდებს ფხვს ქვეწარმავალი თავებით სამაჯურები: მძკობა, მაგარმა ხანდახან იგი იმდენად სტილიზებულია, რომ ძნელია გამოიწინა. საზოგადოერ კი გველის გამოსახულებები, ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მხედრული, დიდი ტრადიცია, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი გვხვდება თიხის მურქულზე, როგორც შემკულობის მოტივი; ზოგჯერ გვხვდება სამარხ იარაღებზე — მახვილის პირებზე ცალკეული ნაწილის სახით. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალაში შორის თითქმის ყველაზე ადრეული ხანის სახეების ბრტყელოვანი საყინის გვერდზე გამოყვანილი ვეჯლის ხაზოვანი რელიეფური გამოსახულება. იგი შედარებით კარგადაა წარმოდგენილი თრიალეთის შუაბრინჯაოს პერიოდის მიდღრულ ყურთანაღ სამარხებში აღმოჩენილ დიდ თიხის მურქულზე.

თრიალეთში, გვიანი ბრინჯაოს პერიოდის შავად გამომწვარი თიხის მურქულზეც არის გველის რელიეფური გამოსახულება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის ადრეული პერიოდის ლიონის ნაწარმზე არ

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის თიხის მურქული.

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის თიხის მურქული.

ენეოლითურ პერიოდის თიხის მურქული.





გვეხდებოდა გველის გამოსახულებანი. ხოლო უფრო მიჯნავითა პერიოდის (ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურული და I ათასწლეულის I ნახევარი) დიონისის სასაქულები (ბრინჯაოს სამაჯურები, სასაფუთქლე რგოლები) იპირია ქვეწარმავლთა თავების სქემატური გადმოცემა. შემადგენლის ასეთი მოტივი მრავალად გამოყენებულია მასთავრის სამაროების იმ ნივთებზე, რომლებიც უმაჯურესად ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნას ამ ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს ეკუთვნის. გველის სქემატურა გამოსახულებით შემკული არა მარტო ბრინჯაოს სამაჯურები, არამედ, ხანდახან, თიხის ჭურჭელიც. ამრიგად საქართველოს ტერიტორიაზე მოხალად აღიანივს უძველესი პერიოდისა დაუხედავად გველი კულტურა. რასთანა დაკავშირებული გველის კულტურა, ძნელია თქმა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ გველი გამოსახულება ტყუას, ეშმაკობას, ქალის ვერაგობას, ხანდახან გველს უკავშირებდნენ ოჯახის სიბიდრეს.

ძვ. წ. VI საუკ. არქეოლოგიური მასალები შემთხვევით აღმოჩენილია ავღანარში, ბოქორის ქუჩაზე, კულტახისის მძებნელების დროს. სამარის ნაწილობრივი დაზიანების მიუხედავად, მასში საინტერესო ნივთები აღმოჩნდა. კერძოდ, მინიშნულებანია სხვადასხვა განიანტის სკიოთური ისრისპირები. სულ 10 ცალი ისრისპირია აღმოჩენილი, რომელთაგან ცხრა ბრინჯაოსაა და ერთი ძლიანა. რინის ნივთიდან აღინიშნავია დანა ყუნწით და სატერვისა თუ მახვილის ტარები. თიხის მხოლოდ თიხი ჭურჭელია, შედარებით მარტივი. მხოლოდ აღსავარია შემკული ირვლევი შემოვლებული ღარები. სასმისი ყურანია, ლამაზი და კონტაა, მაგრამ შემკულების რაიმე მოტივი არ გააჩნია.

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ნივთები, თიხის ჭურჭელი და მარამეტრული შუბის პირი აღმოჩენილია გარეთვე დიდუბეში. ანალოგიური, ნავთლუმი, ვინიშელების ქუჩასა და სხვა ადგილებში. მაგრამ ყველა ამ მასალათა დეტალურად ჩაითვალა და აღწერა შორს წავიყვანდა.

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ანუ ე. წ. ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები სასამართლოდენითაა წარმოდგენილი თბილისის სხვადასხვა უბანში. როგორც მასალოდნა ჩანს, წინა პერიოდში დაწვეული თბილისის ტერიტორიის მზარდა დასახლების პროცესი ამ პერიოდისა კიდევ უფრო ჩქარდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მასალათა შორის თითქმის არ მოიპოვება საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. არ მოიპოვება არც თიხის დიდი ზომის ჭურჭელი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტყვევრთა აღმოჩენის ერთეულ შემთხვევებს. დიდი ნაწილი ძეგლებისა პატარა ზომის თიხის ჭურჭელითაა წარმოდგენილი, დიდი რაოდენობითაა ბრინჯაოს სამკაულები და სხვადასხვა სახის მძივები.

ამ პერიოდის თბილისში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, საყმაღლე განსხვავდება წინა პერიოდის თიხის ჭურჭლისაგან. ისინი თითქმის მოკლებულია შემკულების იმ ფორმებს, რომლებიც წინა პერიოდში გვხვდებოდა, ამხედვად ძირითადად მოხატული და შეღებილი ჭურჭელი გვხვდება. ჭურჭელთა გაბრალებად და საღებავის უწყაშე უკვე საერთოდ დამახასიათებელი ხერხია ამ პერიოდის მთელნებისა. ჭურჭლის მოხატვა უმაჯურესად წითელი სიღრმეით ხდება. არის შავად შეღებილი ჭურჭელიც. თიხის ჭურჭელი უმაჯურესად ხელაღების, თუნუქაღების, ქითან-კოტურების და ფილა-ჯემებითაა წარმოდგენილი.

ანტიკური პერიოდის ძეგლთაგან ყველაზე ადრეული მასალა დიდუბეშია აღმოჩენილი 1930—1931 წწ., მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს. ერთი მაგარი თიხის ხელადა, ლიგანდისფრად გაბოშვარია, მისი მხრები და ყური მოხატულია წითელი სიღრმეით. ყურის მარჯვნივ და მარცხნივ ერთმანეთის გადამკვეთი წითელი ზოლებია გაკლებული. ყურის საწინააღმდეგე მხარე კი კუთხის შემკვნილი წითელი ზოლებითაა მოხატული, კუთხეები

მაღალა, გვერდები კი დამრეცად ეშვება დახლა. ჭურჭელთა აშკარად ფორმა და მოხატვის ხერხი ადრე პერიოდის პერიოდისათვისაა დამახასიათებელი, მსგავსი მასალები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე. აღწერილი ჭურჭლის ზუსტი ანალოგი, როგორც ფორმით, ისე მოხატვის ხერხით, აღმოჩენილია წალკის რაიონის სოფ. კუშში, ქვაყუთის ტიხის სამარხში, რომელსაც ე. წ. კუშხის თარიღებს აქამოვლენის პერიოდით.

ამ პერიოდის თიხის ჭურჭლის შესამკობად გამოყენებული თავისებური, უხეხური სახეები. წერხაქვასებულ ჭურჭლის ზედაპირზე არაააბარად გადვლენული მოშავო (შურა) საღებავი. ხანდახან იგი თითქმის უწყურხვად გადვლენული ზოლების სახითაა წარმოდგენილი. ასეთი მჭიდროდ გვხვდება დიდუბის არქეოლოგიური კოლექციებში. ერთია ხელადა, ხოლო მეორე კოჭობი.

ანტიკური პერიოდის ადრეული საფეხურისა უნდა იყოს, აგრეთვე, დიდუბეში აღმოჩენილი ბრინჯაოს სასაფუთქლე რგოლი, წერილი მავთლისაგან ნაკეთები, რომლის ბოლოები ქვეწარმავლის ძალზე სტილიზებული გადმოცემაა, იგი განიჭებულია, რის შედეგად „შუბლი“ ამოხეულია და ნაჩერებები „თავლებად“ წარმოვლდება. შეიძლება ამ პერიოდის იყოს დიდუბესა და ანალოგიური ნაწილი ბრინჯაოს თამბაგალი და მსხვილი კასრის რიგის თავიანი საყინები. უფრო მოვიგინო პერიოდის, ე. ი. ძვ. წ. უკანასკნელი მეოთხედის არქეოლოგიური ძეგლები მრავალად დიდუბის მასალებში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მშვენიერად დამუშავებული კობა და ლაზანინი მცირე ზომის თიხის ჭურჭელი, უმაჯურესად ხელაღები, თუნუქაღები, ფიალები, ჯამები და კოჭობები. ფილა რადენიმე ცალი, შავად გაბრალებული, მომადლო, კარგად გამოყოფილი და შიგნით შეღრიჯილი ტუსლები, ოდნავ მოყრელი პირით, წინოსხერი განიერი ნაწილით.

ამ პერიოდის ბრინჯაოს სამკაულთა ჯგუფშია ზანზალაქები, რომელთა ზედაპირი დამრეცი, ერთმანეთის გადამკვეთი, ვიწრო ღარების გაღებებით რომბებდა დაყოფილი; ზურგ შეხეტილი და ბოლოვანსამხედველული სამაჯური, ცხვილის კობა და მშვენიერი სქემატური ქანაკება ბრინჯაოსი, ზურგზე უწყური.

მრავალად ამ პერიოდის თიხებშია პასტის, პასტისა და სარდონის მძივები და მძივსაკიდები. მძივების უმრავლესობა ცილიზებულია ამ მრავალი. არის დიდი ზომის, კასრის ფორმის გვერდებდახარული ეგზემალარებიც. გვხვდება ისეთებიც, რომელთაც ძაღის კოჩის ფორმა აქვს, ზოგიერთი მათგანი ოვლებითაა შემკული.

ძვ. და ახ. წ. მიჯნასა და მას აქვთ სამიოდ საკუების მასალები მრავალად აღმოჩენილი თბილისის სხვადასხვა უბანზე. ამ პერიოდის მასალათაგანაც ძირითადად ჭარბობს სხვადასხვაგვარად მოხატული და სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელი. დიდუბეში 1930 — 1931 წწ. აღმოჩენილ მასალათაგან ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ხელადის ტიხის თიხის ჭურჭლები. ძირითადად მათთვის დამახასიათებელია: ოდნავ გაბოშვლილი პირი, დაბალი, ვიწრო ყელი, ოდნავ დაქანებული მხრები, მრგვალი ტახი, განიერი ძირი და ბრტყელი ყური. აღნიშნული ჭურჭლის ზედაპირი წითელი საღებავითაა მოხატული. მოხატვლითა უმაჯურესად კონცენტრული ზოლების სახითაა და ზოგიერთი ჭურჭლის მივლ ზედაპირზეა განლაგებული.

სამკაულთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბრინჯაოს მრგვალი ბეჭედი. ინტალიო ბრტყელია, იგი რკალზე მიჩრილი, პირზე გამობატულია გაქვნიებული ცხენი.

გარდა დიდუბისა, ამ პერიოდის ძეგლები აღმოჩენილია ღრმა-ღლებში. 1936 წელს აღმოჩენილი კომპლენი შიგნის-ცავს ამ პერიოდისათვის ტიპური თიხის თიხი ხელადას. მათთვის დამახასიათებელია ოდნავ გაბოშვლილი პირი, დაბალი ცილიზებული ყელი, გრძელი ტახი, განიერი ძირი



1958 წლის 1-ლ ოქტომბერს შესრულდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 9 წლისთავი. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად პეკინის ტიანანმენის მოედანზე მოეწყო სამხედრო პარადი და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია. ცენტრალურ ტრიბუნაზე იდგნენ: მათი ღირსი, ჯუ და, ლუ შაო-ცი, ჩეუ ენ-ლაი, მათი თანამემამულეები და უცხოელი სტუმრები. დაიღობა 10 საათზე ვაისმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიზნი. დაიწყო სამხედრო პარადი, რომელიც გადიარდა მშრომელთა შთამავლებულ მსვლელობაში, ჩინელი ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთიანობის, ახალი ჩინეთის მშენებლობის გამარჯვების, სოციალისტური ქვეყნის მეგობრობის ვანტაჟების დემონსტრაციაში.

აკირველი ოქტომბერის ზეიმი პეკინის ტიანანმენის მოედანზე


1. ახე იყო 1958 წლის პირველ ოქტომბერსაც. ყოველ კოლონას მოთავე მებრძოლები მიუძღოდნენ. ისინი მზურვალედ მიესალმებოდნენ ჩინეთის ყველა გამარჯვების სულის ჩამდგმულ კომუნისტურ პარტიას, ხალხისებულმდგანებლებს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურდვევ მშობას.





შ. აუვადა და გაიფურჩქნა ჩინეთის უძველესი, შრავალაუკუნოვანი ხელოვნება, რომელიც ხალხის გენიამ შექმნა და ახლა ხალხსაც ემსახურება. დაუშრეტელი ფანტაზია და გამომგონებლობა აჩვენეს ჩინელმა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, მუსიკოსებმა და აქტიორებმა ტიანანშინის შოედანზე. ხალხურობით, კლასტყურობით, სილამაზით, იდეურობითა და გრანდიოზულობით გამოირჩეოდა შათი ერთობლივი მხატვრული გამოსვლები ტრიბუნების წინ, უცხოელი და აქციონი ჩამოსული ჩინელი სტუმრების გასახარებლად.

შ. ჩინელი ხალხის შრომით და მხატვრულ შემოქმედებით წარმატებებს განციფრებული და აღტაცებული შეპყურებდა ტიანანშინის შოედანზე მსოფლიოს შრავალი კვენიდან სამეგობროდ მოსული შრავალი ათასი სტუმარი, რომლებიც მიუხედავად იმ დღის ძლიერი წვიმისა, ჩინური კოლგების ქვეშ თავს ბედნიერად გრანობდნენ და ახალ გამარჯვებებს უსურვებდნენ კოლგებთან ჩვეულ ჩინულ შეგობრებს, იმათ ვინც თაჯის შრომით სოციალიზმის საერთო საქმეს ამტკიცებს.





5. ზღვაზე ღელავდა დროშებითა და ტრანსპარანტებით აფერადებული ტიანანინის ისტორიული მოედანი, გაზარებული თვალბით უმჯობრდნენ ისინი ტრიბუნებს, სადაც მათ მისასალ-მებლად სხვეთან ერთად მრავალი საბჭოთა მოქალაქე იდგა. ამ ორი დიდი კვერის შობამ კიდევ უფრო მტკიცე გახადა სოცია-ლისტების ბაზა.



8. ბევრი უცხოელი დანერჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ზეიმს, ტრიბუნაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის, დემოკრატიული კვერების წარმომადგენლები და მსოფლიოს თითქმის ყველა კუ-თხიდან ჩამოსული მოწინავე, პროგრესული აღმზიანები. ჩინული ხალხისა და პარტიის ერთიანობის მოწამე გახდა საქართველოდან ჩასულ მოგზაურთა დიდი ჯგუფიც.

7. მწუხარი რიგებით, შეწყობილი და რიტმული ნახიჯით ჩიარეს ჩინელ სპორტსმენთა მრავალათასიანმა კოლონებმა, რე-მელიც ახალი ჩინეთის ფიზიკური და სულიერი აღორძინების სურათს წარმოადგენდა. კუნთმაგარი და გულმართალი ჩინელი ახალგაზრდობა მუდამ მზად არის თვალისჩინივით დაიცავს თავისი სამშობლოს ბედნიერი აწმყო და უფრო უკეთესი მომავალი.



და ყელის შუა ნაწილზე შემოვლებული რელიეფური ზოლი. ზოგიერთი მათგანის ზედაპირზე წითელი საღებავი წაშაობული. თიხის ჭურჭლის გარდა, კომპლექსი შეიცავს ბრინჯაოს ბეჭედს. ბეჭდის თვალბუნებრივ ჩასაშლელს ყვირული მინის ტიხა, რიოდის პირზე გამოხატულია წინა ფეხებზე წამოწილი ღლიანი.

სახიტრესოა ამ კომპლექსის ორი ნივთი — პირველი მათგანი ავგაროზი კაშიაია, ძოცისფრო, ზოგან მკაშკაშაოლი ფერისა; თვალური მოყვანილობის ზუსტ გამოხატულ ბაჟყვი, მეორე ავგაროზი — სკარაბეია პასტისა, მოყვითალო ფერისა.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ღრმა-ღელეში, პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე, 1937 წელს შემოხვევით აღმოჩენილი გვიანი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მასალა შედგება მინისა და თიხის რამდენიმე ჭურჭლისაგან. მინის ჭურჭელი ოთხიანი, ერთი მათგანი სახელაქცებელი, იშვიათია თავისი ფორმითა და შექცეულით. იგი ფერადი ლურჯი მინისაგანაა ნაკეთები. შედარებით სქელკედლება და მძიმე ჭურჭლის ტიპი დაახლოებით ქვეყრის ფორმისაა და მთელ სიმაღლეზე შემკულია თეთრი და მუქი ყვითელი ზოლიებით. თავისი ფორმით საინტერესოა მინის მეორე — ღია ცისფერი ჭურჭელი, რომელსაც გვერდები ჩაღარული აქვს („ჩაჭყლებულია“ სიკაქეზე). აქედანვეა პატარა საწელსაცხელე მინისა, მოთვითი, ოდნე გადმომდელი, გასქელებული პირის; რამდენიმე ცალი თიხის ჭურჭელი (ღობი, ხელადა, ქილები, კოჭობები).

1933 წელს ვაკეში საავადმყოფო კომბინატის მშენებლის დროს აღმოჩენილი იქნა კრამიტის სამარხი, საინტერესო იმით, რომ მასში ნახოვნია ავგაროზის (ძვ. წ. 27—ახ. წ. 14 წწ.) მონეტა, ხიორის ფურცლები ოქროსი და ოქროს ბურთულები.

მათ გარდა ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩენილია საქ. სახ. მუზეუმის და საჯარო ბოლიოთუქის ტერიტორიაზე, ბალნეოლოგიური კურორტების მიდამოებზე და მთაწმინდაზე.

ამრიგად ძვ. წ. I სათსწლეულის მიწურულისა და ახალი წელთაღრიცხვის I სათსწლეულის I ნახევრის არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე, მათი თიხისის სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენა, წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში, ერთგვარ წარმოდგენას ვეძლევენ თბილისის ტერიტორიის ამ პერიოდის დასახლებებზე. მისი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალური ყოფის შესახებ.

პირველ ყოვლისა, არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ძვ. წ. I სათსწლეულის II ნახევარსა და ახ. წ. I სათსწლეულის I ნახევარში თბილისის მოსახლეობას საქონლის გაცხოველებული გაცლა-გამოცლა პეონია არა მარტო საქართველოს ტერიტორიის ცალკეული მხარეების მცხოვრებლებთან, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებთანაც. ამას მოწმობს თბილისის სხვადასხვა უბანში და მის მოსაზღვრე ადგილებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. დიდი რაოდენობით მათი აღმოჩენა თბილისის ტერიტორიაზე იმ დროს სასაქონლო მუშრუნობასა და ვაჭრობის განვითარებაზე, ვაჭართა ფენის არსებობაზე მიუთითებს. ძნელია თქმა, თუ რა საქონელი იყო მიმოქცევაში ამ იმ დროს.

აქვე ნაპოვნ ანტიკური პერიოდის მასალათა შორის თითო ოროლა შემოტანილი ნივთებიც ჩანს. ასეთად მივგავანია: კაური (ლევნევილია), პასტის საყიდი ბაჟყვის გამოხატულებით და თილისმა ხიოყის გამოხატულებით. ე. წ. „ეკვიპტური სკარაბეი“ და სხვ. 1957 წ. ღრმა-ღელეში


პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალათა შორის შემოტანილია ჩანს მინის ფერადი, თეთრი და ყვირული ზოლიებით შემკული ჭურჭელიც. თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მსგავსება მოსაზღვრე ტერიტორიის არქეოლოგიურ მასალებთან, ხანდახან კი მათი ზუსტე ერთგვარობა ამ რაიონებში მცხოვრებთა შორის გაცხოველებულ ურთიერთობაზე მეტყველებს.

საკუთრებულ ნაგებობათა ნაშთები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. დღისათვის შემორჩენილი თბილისის ციხის ნანგრევების შესახებ ჩვენ მალთან ძუნჭი ცნობები გვაკანია. აღნიშნული ციხე, როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, აგებულია IV საუკუნის II ნახევარში, მეფე ვარაზ-ბაკურის დროს, როდესაც თბილისი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. როგორც ცნობილია, ამ ციხის ერთ-ერთი დანიშნულება იყო გაეპარებინა იმდროინდელი დედაქალაქი მცხეთა; ნიშანდობლივია ისიც, რომ სპარსთა მიხედვით, პიტიაშუმს, რომელსაც ქართლის მეფეთახისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ, თავის რეზიდენციად აურჩევიათ თბილისი. ამრიგად, IV საუკუნის ბოლოს თბილისი უბრალო დასახლებულ პუნქტად კი არ იწოდება, არამედ „ქალაქად, ციხედ“. IV საუკუნიდან მოყოლებული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი იწვევდნენ თბილისის თანდათანობით ზრდას, სავაჭრო-ხელოსნური ურთიერთობის გაფართოებას. V—VI საუკუნე იყო „ნამდვილი ისტორიული მოსარჩინი“, არა მარტო ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე სოციალური, პოლიტიკური გარდატეხების მხრივაც. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება დაიდა შეუსწო ხელი საქართველოში ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. საქალაქო ცხოვრების აყვავებას... ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვების წყალობით, სავაჭრო ურთიერთობა გაცხოველდა. მან კი წარმოიშვა ახალი ქალაქები, ხოლო ზოგი ძველი ციხე-ქალაქი ქალაქად გადაიქცა. მაგარამ, ამასთან ერთად, თანდათან დაეცა ზოგიერთი ძველი წინავედლური ხანის ქალაქი. V—VI საუკუნიდან იწყება აგრეთვე ქართლის უძველესი დედაქალაქის—მცხეთის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის დაცემაც. ასეთი გარდატეხის ეპოქაში წარმოიშვა თბილისი, როგორც დედაქალაქი“ (დ. გვრიტიშვილი, შ. მუსხიხა).

სამეფო რეზიდენცია მცხეთიდან თბილისში გადმოიღოს VI საუკუნის დასაწყისში და ამ პერიოდიდან თბილისი ხდება ქართლის დედაქალაქი. ამრიგად, თბილისის ტერიტორიის დასახლება, ჯერ ციხე-ქალაქად, ხოლო შემდეგ მის დედაქალაქად ქცევას. პირველ რიგში, ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. მტკვრის ხეობაში მოქცეული თბილისის ტერიტორია წარმოადგენდა ტაფობს და შესაძლებელი იყო მისი მორწყვა, მიწათმოქმედების წარმოება. მცხოვრებთ შეეძლო მდ. მტკვარზე თევზის ყრა; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ თბილისი გზაჯვარედინზე მდებარეობდა. აქ გავიდა დიდი გზა, რომელზეც ქართლს სპარსეთთან აკავშირებდა.

ამრიგად, მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით, თბილისის ტერიტორიის დასახლება უძველესი დროიდან (წინოლითის პერიოდიდან მაინც) მომდინარეობდა, მომდევნო პერიოდში დასახლებულს ეს პროცესი თანდათან ფართოვდება; ძვ. და ახ. წ. მიჯნადან მოკიდებული ეს ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდა დასახლებული; VI საუკუნის დასაწყისში მცხეთიდან ქართლის სამეფო რეზიდენცია გადადის თბილისში, რომელიც ხდება ქართლის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურ ცენტრად.





სცენა სპექტაკლიდან „ოქმულება ნაწილი ადამიანზე“.

კატაკა თბილისელთა მებოვარი

(მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლებზე)

ნადია შალუტაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი



ენინგრადის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სსსრ-ის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბ. ვ. ზონამ ერთხელ ჰკითხა სტანისლავსკის, თუ როგორ უნდა ითამაშონ მსახიობებმა საბავშვო თეატრის სცენაზე. დიდმა რეჟისორმა უპასუხა: „ჩემის აზრით, ისევე, როგორც უფროსებისათვის, მხოლოდ უფრო უკეთესად. — მეტი

სიმართლითა და სიწმინდით“... საბჭოთა მოზარდთა თეატრს ახალგაზრდობის აღზრდის მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ამ როლს წარმატებით ართმევს თავს თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი, რომელიც დიდ და სასარგებლო საქმეს ეწევა.
გასული 1957 — 58 წლის სეზონი თეატრმა საკამო წარმატებით დაასრულა.

მისმა ნამუშევრებმა მალაქოშვილმა შეფასება დაიმსახურეს მოზარდთა თეატრების საკავშირო ფესტივალზე. ბევრი საინტერესო წარმოდგენა უჩვენა თეატრმა თავის მაყურებელს. რეპერტუარში იყო ზღაპრები (ი. არაყიშვილის „ია და ცისკარა“, ზაქის და კუხიცივის „ზღაპარი ზღაპრებზე“), ისტორიულ-მოგვარებითი პიესა („ალექსანდრე პუშკინი“ დ. დელისა), კლასიკა (ა. ოსტროვსკის „უცნობი სიმღერა“, მაინ რილის „უთაო მზედარი“); აგრეთვე ბ. პოლუევის ცნობილი რომანის ინსცენირება „ნამდვილი ადამიანი“, ს. მიხალკოვის „სომხური“; ვ. როზოვის „ცხოვრების ფურცელი“, გ. ბერძენიშვილის „კოჭლი მუწისქვილე“ და სხვ.

თუ ი. არაყიშვილის „ია და ცისკარა“ (დაღმა რ. შაფოთაშვილისა) საერთო მოწონება დაიმსახურა, ამას ვერ ვიტყვი გრ. ბერძენიშვილის „კოჭლ მუწისქვილეზე“ (დაღმა ვ. ვოლგუსტისა). სამწუხაროდ, თვით პიესას აქვს იმგვარი მხატვრული ნაკლოვანებები (გაუმართლებელი სიტუაციები, ხასიათების სტატუსობა), რამაც ერთგვარად განაპირობა სპექტაკლის წარმატებლობა. რეჟისორმა ვოლგუსტმა ვერ შესძლო ცოცხალი, მართალი ატმოსფეროს შექმნა და პირობითობამ, სიყალბემ მოიკალათა სცენაზე. გაუმართლებელია ისიც, რომ დამდგმულმა მთლიანად დაუკარგა პიესას მისი ეროვნული კოლორიტი. თუმცა ზოგიერთმა მსახიობმა წარმატებით განასახივრა რამდენიმე გმირი, სპექტაკლი მაინც მკრთალი და ხელოვნური გამოვიდა.

წარმატება ხელა წილად ბ. პოლუევის რომანის „ნამდვილი ადამიანი“ ინსცენირებას (დაღმა ნ. მარშაკისა, მხატვრები ი. შტენენერგი), სპექტაკლის ღირსება მის მაღალ პატრიოტიზმში, მის კეთილშობილ პუმიზიზმშია. ამიტომაც ასე დამაჯერებელია მფრინავ მერსიკის თავგადასავალი; ამიტომაც შეიკვარა მაყურებელმა ნამდვილი საბჭოთა ადამიანების — მერსიკის (ნ. ჭონიშვილი), გორბოივის (რეს. დამს. არტ. ლ. რომანოვი), კლავდია მიხაილოვნის (რეს. დამს. არტ. ი. ბელენკო) სახეები.

სხვაგვარი ხასიათისაა ს. მიხალკოვის „სომხური“, მასში ავტორს არ დაუსახავს არც განსაკუთრებული პირობებები, არც მაღალი მიზნები. პიესა დაწერილია მსუბუქად და აგებულია გაუგებრობაზე. სპექტაკლის დამდგმელმა, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა ვ. რციხლაძემ და მსახიობებმა სცადეს ეჩვენებინათ მხიარული, ცოცხალი წარმოდგენა საბჭოთა მაყურებლის დასვენების, გართობის, მეგობრობის შესახებ.

უთოდ საინტერესო სცენური სახე

შექმნა ნიჭიერმა მსახიობმა რეს. დას. არტ. ჩ. კიროვამ (ვოვა პესტიკოვი), რომელმაც დიდი სითბოთი და უშუალოებით გვირგვინა „მექსიკელით“ გატაცებული, ცოცხალი და გულმარათალი ბიჭუნას სახე.

ტრავეტის ამბლუსათვის საჭირო აქტიორული მონაცემები გამოამკლავა ახალგაზრდა მსახიობმა ა. უზნაძემ შურკა ტინიანის როლში. ამავე როლს გამოცდილი მსახიობი რეს. დას. არტ. ვ. ბუბუტივიშვილი ასრულებს, თუმცა მას უკვე უჭირს ასეთი ხასიათის როლების შესრულება და ბავშვურ სიმკვირცხლეს სცვლის ხელოვნური ტემპერამენტით, რაც, რასაკვირველია, დიდად ენებს სცნურს სახეს.

სეზონის დასასრულს, უკანასკნელ პრემიერად თეატრმა მაცურებელს უჩვენა ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი მწერლის მაინ რიდის ცნობილი ნაწარმოების „უთავო მხედარის“ ინსცენირება (ინსცენირების ავტორია ი. რუბინშტეინი).

გამოცდილმა რეჟისორმა ნ. მარშაკმა ინსცენირების ფარგლებში (რომელიც, როგორც თითქმის ყველა ინსცენირება, გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება) შექმნა ემოციურად დაძაბული, საინტერესო სპექტაკლი. თეატრს უფარდა, მექსიკელის სვედე-სილიტრას მაცურებელი თავიდანვე შეჰყავს ნაწარმოების გმირულ-რომანტიულ სამყაროში, და ეს განუყობილებლა ბოლოიდ არ სტოვებს მას.

ერთიანი მოქმედება, დაძაბული რიტმი, ანსამბლურობა, ფერადოვანი, ორიგინალური მიზანსცენები — ყველაფერი ეს სპექტაკლის ღირსებას წარმოადგენს.

სპექტაკლის წარმატება განსაზღვრა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის დ. ნოდის მხატვრობით. სპექტაკლში იგი, ფონ-ილუსტრაცია კი არ არის, არამედ ორგანულადაა შესული პიესის გმირთა მოქმედებაში, მჭიდროდაა დაკავშირებული მოქმედ პირთა განცდებთან.

ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული, ძუნწი, მეტყველი დეტალებით მხატვარი კარგად გამოვლევს მოქმედების ადგილს. მაგალითად, გიგანტური კატკუსების ჩრდილი ყვივით სილაზე ქმნის გარუჯულ-დაბანაკებული ველების სურათს.

სცენურ სახეთა შორის ყურადღებას იპყრობენ: ი. სუხანოვი (ჯერალდი), ლ. რომანოვი (ზეფსტეინი), ს. ევანგელიდი (ლუჩა), ლ. გავროლოვი (პენრი), ი. ბალა (კალაუნი).

თეატრის რეპერტუარში, ახალ დადგმებთან ერთად, გარკვეული ადგილი უჭირავთ ძველ და ადღვინილ



სცენა სპექტაკლიდან „ზღაპარი ზღაპარზე“.

სპექტაკლებს, რომელთაც არ დაუკარგავთ თავიანთი მხატვრული ღირებულება. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. როზოვის პიესის „ცხოვრების ფურცელის“ და ა. ნ. ოსტროვისკის „უცნაური სიმღერის“ დადგმები. ვ. როზოვი კარგად იცნობს ჩვენს ახალგაზრდობას, მის ფიქრებს, ოცნებებს, მისწრაფებებს. მის ნაწარმოებებში ნამდვილი ცხოვრება სუნთქავს, მისი გმირები ცოცხალი, რეალური ადამიანები არიან.

„ცხოვრების ფურცელი“ ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხებს ეხება, ავტორი მხატვრულ სახეებში (ბორის მაკატრიონის მაგალითზე), გვიჩვენებს თუ

როგორ ისწრაფვის ჩვენი ახალგაზრდობა ცოდნისაკენ, როგორ იბრძვის იმისათვის, რათა გახდეს ახალი ცხოვრების განათლებული, შეგნებული მშენებელი. შრომა, მეგობრობა, — აი, ის ნათელი იდეალები, რომლებიც გამსჭვალულნი არიან პიესის ახალგაზრდა გმირები.

პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანების მდიდარი, მჩქეფარე და მრავალფეროვანი ცხოვრების მხოლოდ ერთი ფურცელი, მაგრამ ამ ერთ ფურცელზე აღიგნება ამ ადამიანთა მღაღი გრძობები, მათი კეთილშობილური იდეალები.

სპექტაკლის დამდგმელმა მ. გიქმიყელმა სწორედ ეს მომენტი მიი-



სცენა სპექტაკლიდან „მოქმედება ნამდვილ ადამიანზე“.



სცენა სპექტაკლიდან „გამოქცევა“



სცენა სპექტაკლიდან „ნაყარქეპია“

სცენა სპექტაკლიდან „ზღაპარი ზღაპარზე“



ჩნია გამოსავალ წერტილად და გვიჩვენა ის ძნელი, მაგრამ სწორი გზა, რომელსაც პიესის გმირი ეწევის ცხოვრებაში.

